+

პროექტი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №__

2026 წლის _ _ ივლისი

ქ. წყალტუბო

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და შესყიდვების სამსახურის მიერ 2026 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა ანგარიში, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და შესყიდვების სამსახურის მიერ 2026 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ (თან ერთვის).

აღინიშნა, რომ წარმოდგენილი ანგარიში შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და სათანადო დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის `ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის~ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N36 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 25–ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს ანგარიში წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და შესყიდვების სამსახურის მიერ 2026 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და შესყიდვების სამსახურის მიერ 2026 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობა შეფასდეს დადებითად.

3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

მოამზადა:
აპარატის უფროსი — გელა თათარაშვილი

შეთანხმებულია:
განყოფილების უფროსი — მაია ბერაძე

კომისიის თავმჯდომარე — რევაზ დიდავა

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
G E O R G I A
CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY

წერილის ნომერი: **48-4826205110**
თარიღი: **24/07/2026**

ადრესატი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: ქ. წყალტუბო, რუსთაველის ქ.N27

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ თეიმურაზ ჭეიშვილს

ბატონო თეიმურაზ,

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გიგზავნით მერიის ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და შესყიდვების სამსახურის ანგარიშს 2026 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ (თან ერთვის).

დანართი 6 ფურცლად.

პატივისცემით,

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

საქართველო, 5400, წყალტუბო, რუსთაველის ქ. N25, ტელეფონი (+995)595 95 90 72;
ელ-ფოსტა: tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge, ვებ-გვერდი: www.tskaltubo.gov.ge
Georgia 5400 Tskaltubo, Rustaveli st.N25; Phone: (+995)595 95 90 72; E-mail:
tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge; Website: www.tskaltubo.gov.ge

მერიის ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და შესყიდვების სამსახურის ანგარიში 2026 წლის I- II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და შესყიდვების სამსახური, მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე და დებულებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, 2026 წლის პირველ ნახევარში პრაქტიკულ ღონისძიებებს ახორციელებდა მუნიციპალური ინფრასტრუქტურის - ადგილობრივი მნიშვნელობის გზების, გარე განათების, სანიაღვრე და წყალანირების სისტემების, სპორტული მოედნების, სკვერების, საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაციის, შესაბამისი პროექტების სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციების შესყიდვისა და მათი განხორციელების კოორდინაციის მიზნით. განსაკუთრებულ ყურადღება ეთმობა ინფრასტრუქტურის სფეროსთან დაკავშირებული მოქალაქეთა განცხადებების განხილვას, ადგილებზე არსებული მდგომარეობის შესწავლისა და მათი პრიორიტეტულობის შესაფასებლად შესაბამისი წინადადებებისა და რეკომენდაციების მომზადების საკითხებს.

წარმოგიდგენთ ინფორმაციას საანგარიშო პერიოდში **დასრულებულ, მიმდინარე** და **დაგეგმილ** ინფრასტრუქტურულ სამუშაოებზე:

დასრულებული საგზაო ინფრასტრუქტურული პროექტები:

საანგარიშო პერიოდში დასრულდა **რგ(პ) ფონდის** მიერ დაფინანსებული და 2025 წელს დაწყებული გარდამავალი საგზაო ინფრასტრუქტურული სამუშაოები **სოფელ ქვიტირში** - N 4,N5, N10, N11, N22, N 25 ქუჩებზე, პირველი ქუჩის მე -11, მე -13 და მე -7 ჩიხებში; **სოფელ ყუმისთავში** - ბაღათურიების უბანში; ასევე

სვანიძეებისა სილაგაძეების უბნების დამაკავშირებელი გზების რეაბილიტაციის სამუშაოები, მთლიანი სახელშეკრულებო **ღირებულებით - 6 320 792 ლარი.**

მიმდინარე წლის მაისის ბოლოს, მაღალმთიანი რეგიონების განვითარების ფონდის დაფინანსებით დასრულდა - სოფ. საჩხეურისა და დღნორისის დამაკავშირებელი გზის ბეტონის საფარით მოწყობის, ასევე **სოფ. მექვენაში** (ზედა მექვენა) საავტომობილო გზის ბეტონის საფარით მოწყობის სამუშაოები **ღირებულებით 1 750 503 ლარი.**

მიმდინარეობს საგზაო ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციო სამუშაოები: **სოფელ ფარცხანაყანევში** - სალიის უბანში, გოცირიძეების უბანში შიდა გზების ბეტონის საფარით მოწყობის, **სოფელ ფარცხანაყანევში - კოპიტნარის დევნილთა დასახლებაში** - საავტომობილო გზის ბეტონის საფარით და სანიაღვრე სისტემის მოწყობის, **სოფელ გეგუთში, სოფელ ოფშკვითში** - ბაბუნაშვილების უბანში, ბანძელაძეების უბანში, **სოფელ ბენთქოულაში, სოფელ ყუმისთავში** - ტუსკაძეების უბანში და **სოფელ საყულიაში - შიდა სასოფლო გზების ბეტონის საფარით რეაბილიტაციის სამუშაოები,** რომლებიც ასევე **რგ(3) ფონდის** მიერაა დაფინანსებული - **ღირებულებით - 6 369 080 ლარი.**

2026 წლის მეორე კვარტალში რგ(3) ფონდის დაფინანსებით დაიწყო წყალტუბოში ნინოშვილის, ავალიანის და წერეთლის ქუჩებზე სანიაღვრე არხის რეაბილიტაციისა და სოფელ მეჩხერში საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები, ღირებულებით 1 674 380 ლარი.

ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით 2025 წელს დაიწყო და საანგარიშო პერიოდში დასრულდა, სოფ. ზედა ქვილოშორში სასმელი წყლის სისტემების

მოწყობა- რეაბილიტაციის, **სოფ. ყუმისთავში და გუმბრაში** სასმელი წყლის ქსელის რეაბილიტაციის სამუშაოები, ჯამური ღირებულებით - **899 978 ლარი.**

მიმდინარეობს სოფელ ოფურჩხეთში კინწურაშვილების უბანში წყლის ჭაბურღილისა და ქსელის მოწყობის სამუშაოები **ღირებულებით 212 900 ლარი.**

ცენტრალური ბიუჯეტიდან, დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში , მცირე სახის ინფრასტრუქტურული სამუშაოების ჩასატარებლად გამოყოფილი დაფინანსებით დასრულდა სოფ. ბანოჯის, სოფ. გეგუთის N 2 საჯარო სკოლის, სოფ. გვიშტიბისა და სოფ. სორმონის საჯარო სკოლების, სოფ. წყალტუბოს საჯარო სკოლასთან არსებული მეორე უბნის დაწყებითი საჯარო სკოლის, გვიშტიბისა და ბანოჯის საჯარო სკოლების სარემონტო სამუშაოები, **ღირებულებით 462 850 ლარი.**

შეუფერხებლად ხორციელდება მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში მოსწავლეთა ტრანსპორტირება, რომლის **სახელშეკრულებო ღირებულება - 425737 ლარია. ამ პროგრამაში ჩართული მუნიციპალიტეტის 25 საჯარო სკოლიდან** 174 სასწავლო დღის განმავლობაში, განხორციელდება 805 მოსწავლის ტრანსპორტირება. დღიური სამარშრუტო კილომეტრაჟი შეადგენს 640-კმ-ს.

ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა და მიმდინარეობს ქ. წყალტუბოში მუსიკალური სკოლის შენობისა და სოფ. საყულიის კლუბის სარეაბილიტაციო სამუშაოები, **ღირებულებით 1 117 602 ლარი.**

ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი დაფინანსებით , მუნიციპალიტეტის მასშტაბით, სხვადასხვა ლოკაციებზე მოეწყო **სანიაღვრე სისტემები,** ღირებულებით 499 999 ლარი.

ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა **სპორტული მოედნების რეაბილიტაციის / მოწყობის სამუშაოები:** სოფლებში რიონში, გუმბრაში, ქვიტირში, უკანეთში, ფარცხანაყანევსა და მუხიანში; ქ. წყალტუბოში- კოლხეთის ქუჩაზე; სკვერები მოეწყო ქ. წყალტუბოში ბესიკის, თამარ მეფის და ევდოშვილის ქუჩებზე;

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშემწყობი პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა და დასრულდა ქალაქ წყალტუბოში, გ. ტაბიძის ქუჩა №3ა ,გ. ტაბიძის ქ. №5 თამარ მეფის ქუჩა №9, საცხოვრებელი კორპუსების სადარბაზოების სარეაბილიტაციო სამუშაოები.

2026 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შესაბამისი პროგრამული მუხლიდან გამოყოფილია დაფინანსება 9 მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის სახურავებისა და სადარბაზოების შეკეთებისათვის. გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების 2 ხელშეკრულება და დაიწყება შესაბამისი სამუშაოები. მზადდება დოკუმენტაცია და უახლოეს პერიოდში გამოცხადდება ტენდერები კიდევ 7 საცხოვრებელი სახლის თანადაფინანსებით შეკეთებისათვის და ეს პროცესი ეტაპობრივად მთელი წლის განმავლობაში გაგრძელდება, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მოთხოვნისა და ამ მიმართებით ადგილობრივი ბიუჯეტის შესაბამის პროგრამულ მუხლში არსებული ფინანსური რესურსების გათვალისწინებით.

ამავე პროგრამის ფარგლებში, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მოთხოვნით, მუნიციპალიტეტის მერიის მიერ **100%-ით** დაფინანსდება ქალაქ წყალტუბოში 4 საცხოვრებელ კორპუსში (ჩოლოყაშვილის ქ. N 1; თბილისის ქ. N 1; ბესიკის ქ. N 4 და გურამიშვილის ქ.N 2) ამორტიზირებული ლიფტების ახალი ლიფტებით ჩანაცვლების სამუშაოები, რომელთა ჯამური ღირებულება 1.1 მლნ. ლარია.

,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში“ 2026 წელს ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად ცნეტრალური ბიუჯეტიდან გამოყოფილი იქნა 704000 ლარი, რასაც დაემატა ამავე დანიშნულებით ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი 335000 ლარი, რომლითაც მუნიციპალიტეტის ყველა სოფელში დაიწყო და მ/ წლის ოქტომბერში დასრულდება მოსახლეობის მიერ მოთხოვნილი სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურული სამუშაოები.

საანგარიშო პერიოდში სამსახურის მიერ განხილული და შესწავლილი იქნა მოსახლეობიდან და ორგანიზაციებიდან შემოსული 505 განცხადება და წერილი, რომლებიც შეეხება პირადი და საზოგადოებრივი საკუთრების, ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის, საავტომობილო გზების, სარწყავი და სამელიორაციო არხების გაწმენდის, სიჩქარის შემაფერხებელი ბარიერების, სკვერებისა და სპორტული მოედნების მოწყობის საკითხებს და ა. შ.

მოსახლეობა სრულადაა ინფორმირებული, მუნიციპალიტეტის მასშტაბით მიმდინარე და დაგეგმილი ინფრასტრუქტურული სამუშაოების თაობაზე.

სამსახურის შესყიდვების განყოფილების მიერ დარეგისტრირდა გამარტივებული შესყიდვის ფორმით დადებული ხელშეკრულებები და თანმხლებ დოკუმენტებთან ერთად (ბაზრის კვლევა, ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის შესახებ და სხვ.) აიტვირთა სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის შესაბამის მოდულში (CMR მოდული).

განხორციელდა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ დადებული ხელშეკრულებების ატვირთვა სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის შესაბამისი ელექტრონული ტენდერების ხელშეკრულების ველებში.

ყოველდღიურ რეჟიმში ხდება ინფრასტრუქტურული და არაინფრასტრუქტურული პროექტების თაობაზე გამოცხადებული ტენდერების შესახებ სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის მიერ Google Drive-ში ატვირთულ ცხრილებში მონაცემების შეყვანა/განახლება.

სამსახურის უფროსი: მალხაზ ჩხეიძე